

**Nino Kvirikadze**

**ნინო კვირიკაძე**

*Akaki Tsereteli State University*

*აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*Georgia, Kutaisi*

*საქართველო, ქუთაისი*

## **Verfall (decline) Details in Thomas Mann's novel "Buddenbrooks" and its Georgian Translation**

### **Verfall-ის (დაცემის) დეტალების სემანტიკის საკითხისათვის თომას მანის „ბუდენბროკებსა“ და მის ქართულ თარგმანში**

The present paper is concerned with the semantic study of Verfall details in Th. Mann's novel "Buddenbrooks" and its Georgian translation. The study of the Verfall details including the title of the novel meaning "fissure", "crack" (i.e. decline of the Buddenbrooks family) has demonstrated that the Georgian translation of these details only partially correspond to the original text.

Georgian recipients in 12 cases are unable to comprehend the meaning of the title of the novel. Of course, this circumstance greatly weakens the sounding of Verfall of an old burgher family in translated text.

**Keywords:** Th. Mann's "Buddenbrooks", Verfall details, 'word/verbal series', the German and Georgian languages, Georgian translation, weakening the sound of decline

**საკვანძო სიტყვები:** თ. მანის „ბუდენბროკები“, ვერფალის დეტალები, „სიტყვა/სიტყვიერი სერია“, გერმანული და ქართული ენები, ქართული თარგმანი, დაკნინების ხმის შესუსტება

წინამდებარე სტატიაში განიხილება გერმანელი ბიურგერული გვარის Verfall-ის (დაცემის) ცალკეული დეტალების სემანტიკის საკითხი თომას მანის „ბუდენბროკებსა“ და მის ქართულ თარგმანში. „ბუდენბროკების“ სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი საშუალებას იძლევა უფრო ღრმად შევადწინოთ რომანის ქვეტექსტურ შრეებში. ამგვარი ანალიზი ეფუძნება ვ. ვინოგრადოვის „სიტყვათა რიგის“ თეორიას, რომელიც მოგვიანებით განავითარეს სტრუქტურალისტებმა (Виноградов, 1980, გვ. 250-255; Горшков, 1996, გვ. 235-253). უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ არ ვეხებით რომანის თარგმანის პრობლემას მთლიანობაში, არამედ მხოლოდ იმას, თუ რამდენად სწორადაა გადატანილი ხსენებული დეტალები ქართულ ტექსტში და რამდენად შენარჩუნებულია აქ ბუდენბროკების ძველი ბიურგერული გვარის დაცემის სემანტიკა.

Verfall-ის დეტალებს ვიხილავთ რომანის სათაურის ჭრილში. როგორც ცნობილია, სათაური ზოგადად არსებით როლს თამაშობს ნებისმიერი ტექსტის ინტეგრირებული მთლიანობის შექმნასა და აღქმაში. მეცნიერები (Лукин, Тураева, Mendelssohn, Koopmann, Nieschmidt და სხვ.) მიუთითებენ ლიტერატურულ ნაწარმოებებში სათაურის მნიშვნელობაზე. ითვლება, რომ ნაწარმოების სათაური შეკუმშული ფორმით მის ძირითად იდეას შეიცავს და გასაღებს წარმოადგენს მისი გაგებისათვის, მაგრამ ასეთი გასაღების როლს სათაური მხოლოდ მისი მთლიანი სემანტიზაციის შემთხვევაში

ასრულებს (Туралева 1986, გვ. 52-53). სათაური, ერთმნიშვნელოვანია ის თუ მრავალმნიშვნელოვანი, შეიძლება სრულყოფილად გავიგოთ მხოლოდ მაშინ, თუ ტექსტს ადვილად როგორც სტრუქტურულ-სემანტიკურ ერთიანობას, რომელიც გამოირჩევა მთლიანობითა და შეკრულობით (Туралева 1986, გვ. 52-53). ცნობილია, რომ სათაური, როგორც ტექსტური ნიშანი, ტექსტის აუცილებელ ელემენტს წარმოადგენს და ფიქსირებულ მდგომარეობაში იმყოფება (Лукин, 1999, გვ. 59). მას უკავია ძლიერი პოზიცია, ის უპირისპირდება ტექსტის კორპუსს და მკითხველის ყურადღებას იპყრობს. სათაურის აღქმისას (ტექსტის წაკითხვამდე) ის ინდექსალური ნიშანია, რომელიც ტექსტის კითხვისას პირობით ნიშნად გარდაიქმნება, ხოლო ტექსტის წაკითხვისა და ათვისების შემდეგ მოტივირებულ პირობით ნიშანს უახლოვდება (Лукин, 1999, 59-60). სწორედ სათაურის მნიშვნელობამ ლიტერატურული ნაწარმოების გაგებისათვის გამოიწვია ჩვენი ინტერესი მოცემული საკითხისადმი.

ჩვენი მიზანია, თვალი გავადევნოთ სათაურის, როგორც დეტალის, მოძრაობას რომანის მთელ ტექსტობრივ სივრცეში სიტყვათა რიგების კონტექსტში, გამოვავლინოთ მისი სემანტიკა ცალკეულ ფრაგმენტებში ნაწარმოების შინაარსთან კავშირში, დავაფიქსიროთ მისი ლაიტმოტივურობა და გავარკვიოთ, თუ რამდენად შეეფერება გერმანულ ორიგინალში წარმოდგენილ დაცემის დეტალებს უკვე ნათარგმნ ქართულ ტექსტში იმავე სიტყვათა რიგში დაფიქსირებული დეტალები.

ტექსტის, როგორც მხატვრული მთლიანობის, განხილვისას სათაურ-დეტალს წარმოვაჩინოთ მოძრავი მიკროელემენტის სახით: ე.ი. ის, რასაც ჩვენ ვიკვლევთ, არის დეტალი და ამავე დროს რომანის დინამიკური სტრუქტურის მოძრავი რგოლი, რომელსაც შეუძლია გადაინაცვლოს ერთი სიტყვათა რიგიდან მეორეში და წარმოქმნას „მიზრდილი აზრი“ («приращенный смысл» – В.Виноградов), რაც უფრო ფართო შესაძლებლობებს იძლევა დეტალის ახლებური აღქმისა და მისი პოლიფუნქციური მნიშვნელობის, მისი ლაიტმოტივურობის წარმოჩენისათვის. სათაური-დეტალი გასდევს ტექსტს მთელ ვერტიკალზე თავიდან ბოლომდე და, სიტყვათა რიგებში მოძრაობისას, იზიდავს სხვა დეტალებს. აქვე გავითვალისწინოთ ის მომენტი, რომ სიტყვათა რიგების კომპონენტებად გვევლინება არა მხოლოდ სიტყვები, არამედ სიტყვათშენაერთები და წინადადებებიც.

ჩვენი ამოცანაა, თვალი გავადევნოთ სათაურის როგორც დეტალის მოძრაობას მთელ ტექსტში და გამოვავლინოთ მისი სემანტიკა ნაწარმოების შინაარსთან მიმართებაში; დავაფიქსიროთ მისი სემანტიკური ეკვივალენტები ნათარგმნ ტექსტში და დავადგინოთ, თუ როგორ ადიქვამენ მას ქართველი მკითხველ-რეცეპიენტები. აღნიშნული პრობლემის განხილვა წარმოებს რომანის მთავარი თემის ჭრილში: პატრიარქალური ბიურგერული ოჯახი და მისი თანდათანობითი რღვევა ახალ საზოგადოებრივ პირობებში.

პირველ რიგში უნდა განვსაზღვროთ რომანის სათაურის, ე.ი. საკუთარი სახელის, გვარის „Buddenbrooks“, სემანტიკა. უმჯობესია ავიდოთ მისი მხოლოდობითი რიცხვი – „Buddenbrook“ და მისი მეორე ნაწილი „brook“. განმარტებით ლექსიკონებში მოცემულია ამ სიტყვის ორი მნიშვნელობა:

Brook = Bruch → 1. „Sumpf“, „Sumpfland“ ჭაობი, ჭაობიანი მიწა (Duden, 2003, გვ. 318).

Brook = Bruch → 2. „Brechen-Riß“ მსხვრევა, ბზარი (Klappenbach; Steinitz, 1978, გვ. 679).

ორივე მნიშვნელობა განსაზღვრავს ბუდენბროკების ოჯახის დაცემა-გადაშენებას და ამიტომ რომანის ტექსტში გვხვდება შესაბამისად ორივე მნიშვნელობის მატარებელი მხატვრული დეტალები. მაგრამ ჩვენ განვიხილავთ მხოლოდ მეორე მნიშვნელობის მქონე, ე.ი. „Brechen-Riß“ დეტალებს.

სიტყვათა რიგის თეორიისა და აგრეთვე განმარტებით ლექსიკონებში სათაურის ჭრილში დაფიქსირებული მნიშვნელობების გათვალისწინებით, საკვლევ სიტყვათა რიგში ლოგიკის თანახმად შეიძლება შევიყვანოთ ბუდენბროკების Verfall-ის (დაცემ-ის) გამომხატველი შემდეგი პოტენციური სიტყვა-დეტალები (თუ ისინი შეგვხვდება ტექსტში მოძრაობისას): brechen, abrechen, zerbrechen, zerbrechlich, Riß, zerreißen, reißen, Kluft, Spaltung, Spalte usw. (მტვრევა, მსხვრევა, მსხვრე-

ვადი, ბზარი, ნაპრალი, გარღვევა, გაწყვეტა, უფსკრული, ხვრელი და ა.შ.). აქვე ხაზს ვუსვამთ იმას, რომ, ვიზუალიზაციის მიზნით, Verfall-ის (დაცემ-ის) გამომხატველ დეტალებს როგორც გერმანულ, ასევე ქართულ ნათარგმნ ტექსტში და ასევე სიტყვათა რიგებში გამოვყოფთ კურსივით, ე.ი. დავაქანებთ. მაგრამ თუ გერმანულ ტექსტში Verfall-ის მქონე დეტალები ქართულ ტექსტში გადატანისას დაცემის მნიშვნელობას ვერ ინარჩუნებენ, ძირითად ტექსტში კი გამოვყოფთ მათ კურსივით, მაგრამ სიტყვათა რიგების შემადგენლობაში უკვე აღარ ვაქანებთ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დეტალებს ვიხილავთ ცალკეულ ფრაგმენტებში. პირველ ფრაგმენტად ჩაითვლება თავად სათაური.

#### ფრაგმენტი I

„Buddenbrooks“ (Titel)

„ბუდენბროკები“ (სათაური)

პირველი ფრაგმენტი ამავე დროს სიტყვათა რიგის დასაწყისია, მას ემატება ბუდენბროკების გვარი მხოლოდით რიცხვში და ზემოთ განხილული ამ გვარის მეორე ნაწილი. ეს სიტყვათა რიგი გერმანულ და ქართულ ტექსტებში წარმოგვიდგება შემდეგნაირად:

„Buddenbrooks“ (Titel) – Buddenbrook – Brook –

„ბუდენბროკები“ (სათაური) – ბუდენბროკი – ბროკი –

გასაგებია, რომ ქართველი რეციპიენტი ამ დეტალებს ვერ აღიქვამს ისე, როგორც გერმანელი. ამიტომ ქართული სიტყვათა რიგის ასეთ კომპონენტებს თავად სიტყვათა რიგის შემადგენლობაში დავტოვებთ დაქანების გარეშე.

#### ფრაგმენტი II

Im Verhältnis zu der Größe des Zimmers waren die Möbel nicht zahlreich. Der runde Tisch mit den dünnen, geraden und leicht mit Gold ornamentierten Beinen stand nicht vor dem Sofa, sondern an der entgegengesetzten Wand, dem kleinen Harmonium gegenüber, auf dessen Deckel ein Flötenbehälter lag. Außer den regelmäßig an den Wänden verteilten, steifen Armstühlen gab es nur noch einen kleinen Nähtisch am Fenster und, dem Sofa gegenüber, einen zerbrechlichen Luxus-Sekretär, bedeckt mit Nippes (Mann, 1990, გვ. 12).

საკმაოდ დიდ ოთახში ცოტა ავეჯი იდგა. წვრილ, მსუბუქად მოვარაყებულ სწორ ფეხებზე შემდგარი მრგვალი მაგიდისთვის სოფას წინ კი არა, მეორე კედელზე, პატარა ფისპარმონიის პირდაპირ მიეჩინათ ადგილი. ფისპარმონიის სახურავზე ფლეიტის ბუდე იდო. კედლებთან მწყობრად ჩამორიგებული მაგარი სავარძლების გარდა ოთახში ფანჯარასთან ხელსაქმისთვის განკუთვნილი პატარა მაგიდა მოჩანდა, სოფას პირდაპირ კი სამშვენისებით გაწყობილი ნატიფი ნახელავი სეკრეტერი მოეთავსებინათ (მანი, 1988, გვ. 8-9).

აქ პირველად სათაურის შემდეგ შემოდის საკვლევი სიტყვა-დეტალი „Brechen“ ერთ-ერთ თავის მორფოლოგიურ ფორმაში – როგორც ზედსართავი სახელი „zerbrechlichen“ („einen zerbrechlichen Luxus-Sekretär“); ის უდავოდ მიუთითებს ბუდენბროკების ოჯახის Verfall-ის (დაცემ-ის) ნიშნებს. სიტყვათა რიგი შემდეგნაირად გამოიყურება – გერმანულსა და ქართულ ტექსტებში:

„Buddenbrooks“ (Titel) – Buddenbrook – Brook – einen zerbrechlichen Luxus-Sekretär –

„ბუდენბროკები“ (სათაური) – ბუდენბროკი – ბროკი – ნატიფი ნახელავი სეკრეტერი –

აქ არ არის ნათარგმნი Verfall-ის გამომხატველი დეტალი zerbrechlichen (მსხვერვადი) და ქართველი მკითხველი კვლავ ვერც ერთ დეტალს ვერ აღიქვამს.

### ფრაგმენტი III

„Mein Vater!

[...]

Ich muß Ihnen aussprechen, daß die Art, in welcher Sie *die Kluft*, welche, dem Herrn sei's geklagt, *zwischen* uns besteht, durch Ihre Hartnäckigkeit vertiefen, eine Sünde ist, welche Sie einstmals vor Gottes Richterstuhl aufs schwerste werden verantworten müssen. Es ist traurig genug, daß Sie vor Jahr und Tag, als ich, auch gegen Ihren Willen, dem Zuge meines Herzens folgend, meine nunmehrige Gattin ehelichte und durch Übernahme eines Ladengeschäftes Ihren maßlosen Stolz beleidigte, sich so überaus grausam und völlig von mir wandten; allein die Weise, in welcher Sie mich jetzt traktieren, schreit zum Himmel, und sollten Sie vermeinen, daß ich mich angesichts Ihres Schweigens kontentiert und still verhalten werde, so irren Sie gröblichst“ (Mann,1990, გვ. 46).

მამაჩემო!

[...]

უნდა მოგახსენოთ, რომ თქვენი საქციელით და სიჯიუტით *ჩვენ შორის* ღვთის ნებით გაჩენილ *უფსკრულს* კიდევ უფრო აღრმავებთ. ამით ისეთ ცოდვას სჩადიხართ, რაზედაც ღვთის სამსჯავროს წინაშე მწარედ მოგიხდებათ მონაწილეობა. ძლიერ სამწუხაროა, რომ იმ დღიდან, რაც თქვენ უნებურად, ჩემი გულის კარნახით ცოლი შევირთეთ და დახლში ჩავდექი, რითაც თქვენი უზომო თავმოყვარეობა შევლახე, უწყალოდ ზურგი შემაქციეთ, მაგრამ თქვენს ჩემდამი ახლანდელ მოპყრობაზე ცა აღადადდება. მწარედ ცდებით, თუ გგონიათ, რომ თქვენი სიჩუმით მეც დამადუმებთ (მანი, 1988, გვ. 45).

ეს არის ამონარიდი მოხუცი იოჰანის უფროსი ვაჟის – გოტჰოლდის – წერილიდან, რომელშიც ის კვლავ ითხოვს მამისაგან ფულს, თუმცა მისი „მეზალიანსის“ გამო მამამ თავის დროზე გამოჰყო ის და გაისტუმრა შესაბამისი თანხით. რომანის სათაური აქ ჩნდება სიტყვა-დეტალში „die Kluft“, რომელიც როგორც შინაარსით, ასევე გრაფიკული გამოსახულებით სავსებით ეხმიანება საწყის დეტალებს „Brechen-Riß“-ს და წარმოგვიდგება აქ როგორც ბუდენბროკების დაცემის სიმბოლო. ამ მომენტს აფიქსირებს აგრეთვე გუნტერ რაისიცი, თუმცა ნაწარმოების სათაურს არ უკავშირებს: „Eine ‚Kluft‘ [...] spaltet die Familie bereits zu Beginn des Romans. Es handelt sich um das durch eine ‚böse Feindschaft‘ [...] gekennzeichnete Verhältnis des alten Buddenbrook zu Gotthold, seinem wegen einer ‚Mesalliance‘ verstoßenen Sohnes aus erster Ehe“ (Reiss 1970:74).

მისი რეციპიენტები აქ არიან მამა ბუდენბროკი და მისი ორი ვაჟი. სიტყვათა რიგი ფართოვდება:

„*Buddenbrooks*“ (Titel) – Buddenbrook – Brook – einen zerbrechlichen Luxus-Sekretär – die Kluft –

„ბუდენბროკები“ (სათაური) – ბუდენბროკი – ბროკი – ნატიფი ნახელავი სეკრეტერი – *უფსკრული* –

### ფრაგმენტი IV

„Vater ... wir haben hier heute so heiter beieinander gegessen, wir haben einen schönen Tag gefeiert, wir waren stolz und glücklich in dem Bewußtsein, etwas geleistet zu haben, etwas erreicht zu haben ... unsere Firma, unsere Familie auf eine Höhe gebracht zu haben, wo ihr Anerkennung und Ansehen im reichsten Maße zuteil wird ... Aber, Vater, diese böse Feindschaft mit meinem Bruder, deinem ältesten Sohne ... *Es sollte kein heimlicher Riß durch das Gebäude laufen*, das wir mit Gottes gnädiger Hilfe errichtet haben ... Eine Familie muß einig sein, muß zusammenhalten, Vater, sonst klopft das Übel an die Tür...“ (Mann,1990, გვ. 49-50).

– მამა, დღეს ვიმხიარულეთ, ბედნიერი დღე აღვნიშნეთ, სიხარულითა და სიამაყით აღვივსეთ, რომ რაღაცას თავი მოვაბით, რაღაცას მივადწიეთ, ჩვენი ფირმა, ჩვენი ოჯახი ავამაღლებთ, საყოველთაო პატივისცემა მოვიპოვებთ... მაგრამ ამ წყეულ მტრობას ჩემს ძმასთან, შენს უფროს ვაჟთან რა ვუყოთ? ღვთის შეწევნით შექმნილ *ოჯახში ბზარი არ უნდა გაჩენილიყო*, მამა. ოჯახი ერთიანი უნდა იყოს, ერთმანეთს თუ მხარში არ ამოვუდევით, კარს უბედურება მოგვადგება (მანი, 1988, გვ. 48).

„ფარული ბზარის“ მოტივი ტრადიციულად ითვლება ბუდენბროკისეული Verfall-ის გამოხატულებად, მაგრამ მას, რა თქმა უნდა, არავინ იხილავს რომანის სათაურის კონტექსტში, არამედ მისგან მოწყვეტით: „Ein ‚heimlicher Riß‘... beginnt bereits hier das Familiengefüge auseinanderzutreiben. Jeans Mahnung: ‚Eine Familie muß einig sein, muß zusammenhalten, Vater, sonst klopft das Übel an die Tür ...‘“ „... , fixiert bereits in diesem frühen Stadium mit aller Deutlichkeit den einsetzenden Familienzerfall, der zunächst kaum merklich die Einheit von Familie und Firma sprengt“ (Reiss, 1970, გვ. 74). რეციპიენტების როლში აქ გამოდიან იოჰან ბუდენბროკ-უფროსი და იოჰან-ბუდენბროკ-უმცროსი. „Brechen-Riß“-Verfall-ის მნიშვნელობას აქ აძლიერებენ აგრეთვე სხვა სიტყვათა რიგების წევრები: diese böse Feindschaft mit meinem Bruder – sonst klopft das Übel an die Tür (ამ წყეულ მტრობას ჩემს ძმასთან, კარს უბედურება მოგვადგება).

სიტყვათა რიგი კი კვლავ იზრდება:

„*Buddenbrooks*“ (Titel) – *Buddenbrook – Brook – einen zerbrechlichen Luxus-Sekretär – die Kluft – Es sollte kein heimlicher Riß durch das Gebäude laufen* –

„ბუდენბროკები“ (სათაური) – ბუდენბროკი – ბროკი – ნატიფი ნახელავი სეკრეტერი – *უფს-კრული – ოჯახში ბზარი არ უნდა გაჩენილიყო* –

#### ფრაგმენტი V

Ein anderes Mal, als er, ein ganz junger Mensch noch, nach Bergen gekommen war, hatte Gott ihn aus großer Wassergefahr errettet. „Indem wir [...] in der Stromzeit [...] ging es mir dabei so, daß ich auf dem Rande der Schute stand, die Füße gegen die Dollen und den Rücken gegen die Jacht gestützt, um die Schute immer näher zu bringen; zu meinem Unglück *brechen die eichnen Dollen*, wogegen ich die Füße gesetzt hatte, und ich falle über Kopf ins Wasser. [...] Es waren Leute genug da, die mich gerne retten wollten [...] und all ihr Schieben hätte doch nichts geholfen, *wenn nicht* in diesem Augenblick *ein Tau* auf einer Nordfahrerjacht von selbst *gerissen wäre* [...] und kam es dadurch dahin, daß er auch mir helfen konnte...“ (Mann, 1990, გვ. 55).

მესამედ, ჯერ კიდევ ყმაწვილი კაცი, ბერგენში ღმერთმა დახრჩობისგან იხსნა.

„წყალუხვობის ჟამს, [...] მე ბარჟის კიდეზე ვიდექი, ფეხები მუხის ნიჩბი პალოზე მქონდა მიჭერილი, ზურგით კი იქვე მდგომ იახტას ვაწვებოდი – მინდოდა ჩვენი ბარჟა ნაპირთან მიმეყენებინა; ჩემდა საუბედუროდ, *ნიჩბის პალოებმა ვერ გამიძლო* და წყალში ყირამალა გადავეშვი. [...] ბევრი ჩემს გადასარჩენად თავს არ დაზოგავდა, მაგრამ [...] მათი ცდა ამოიქნებოდა, *რომ მოულოდნელად ჩრდილოელთა ერთი იახტის ბაგირი არ გაწყვეტილიყო* [...] ბოლოს და ბოლოს, იმ კაცმა შეძლო ჩემი ამოთრევა...“ (მანი, 1988, გვ. 53-54).

მოცემულ ფრაგმენტში, რომელშიც ერთადერთ რეციპიენტად ახალგაზრდა იოჰან ბუდენბროკი გვევლინება, ლაპარაკია იმაზე, თუ როგორ გადაარჩინა უფალმა მომავალი კონსული ბუდენბროკი ზღვაში დაღუპვისაგან; სიმპტომატურია ის, რომ მისი სიკვდილი, თუ ის განხორციელდებოდა, მომდინარეობდა სწორედ იმ საბედისწერო ბზარიდან *brechen*, რომელიც კვალდაკვალ სდევს ბუდენბროკთა მთელ ოჯახს.

სიტყვათა რიგი ივსება ორი ახალი სიტყვა-დეტალით (*brechen* და *gerissen* – *მსხვრევა* და *გაწყვეტილი*), რომლებიც შესაბამის წინადადებებში ფიქსირდება და გერმანულენოვანი მკითხველის მიერ აღიქმება ჩვეულებრივ და ბუნებრივად როგორც Verfall-ის დეტალები, რის შედეგადაც სიტყვათა რიგი კიდევ უფრო ფართოვდება:

„Buddenbrooks“ (Titel) – Buddenbrook – Brook – einen zerbrechlichen Luxus-Sekretär – die Kluft – Es sollte kein heimlicher Riß durch das Gebäude laufen – brechen die eichnen Dollen □ wenn nicht ein Tau gerissen wäre –

„ბუდენბროკები“ (სათაური) – ბუდენბროკი – ბროკი, – ნატიფი ნახელავი სეკრეტერი – უფსკრული – ოჯახში ბზარი არ უნდა გაჩენილიყო – ნიჩბის პალოებმა ვერ გამიძლო – რომ ბაგირი არ გაწყვეტილიყო –

მაგრამ ნათარგმნ ტექსტში პირველი დეტალი *brechen*, როგორც Verfall-ის დეტალი ფაქტობრივად, დაკარგულია; მის ნაცვლად გამოყენებულია სიტყვა „ვერ გამიძლო“ („ნიჩბის პალოებმა ვერ გამიძლო“). მართალია, წინადადება „ნიჩბის პალოებმა ვერ გამიძლო“ ნიშნავს იმას, რომ რაღაც სიმძიმის გამო ნიჩბის ეს პალოები გადატყდა, თუ გინდ დაიმსხვრა კიდევ, მაგრამ სიტყვა „ვერ გაუძლო“ უშუალოდ ვერანაირად ვერ ცვლის სიტყვებს „გადატყდა“ ან „დაიმსხვრა“, რომლებსაც, ნათარგმნ ტექსტში მათი გამოყენების შემთხვევაში, ქართველი რეციპიენტები ნამდვილად შეძლებდნენ აღექვათ ბუდენბროკების ოჯახის დაცემის დეტალების სახით.

#### ფრაგმენტი VI

Da, plötzlich, trat dieser Moment ein ... ereignete sich etwas Lautloses, Erschreckendes. Die Schwüle schien verdoppelt, die Atmosphäre schien einen sich binnen einer Sekunde rapide steigernden Druck auszuüben, der das Gehirn beängstigte, das Herz bedrängte, Atmung verwehrte [...]. Und dieser unentwirrbare Druck, diese Spannung, diese wachsende Beklemmung des Organismus wäre unerträglich geworden, wenn sie den geringsten Teil eines Augenblicks länger gedauert hätte, wenn nicht auf ihrem sofort erreichten Höhepunkt eine Abspannung, ein Überspringen stattgefunden hätte ... *ein kleiner, erlösender Bruch*, der sich unhörbar irgendwo ereignete, und den man gleichwohl zu hören glaubte ... wenn nicht in demselben Moment [...] der Regen herniedergebrochen wäre [...]. Aber Johann Buddenbrook *war schon tot* (Mann, 1990, გვ. 247-249).

ეს წუთები უცებ დადგა... იდუმალი, საშიშარი რაღაც ხდებოდა. ხვატი თითქოს გაორკეცდა, ატმოსფეროს წნევა ერთ წამში ისე გაიზარდა, გეგონებოდათ, ტვინი ვეღარ გაუძლებსო. მაღალი წნევა გულს ხუთავდა, სულის ამოთქმას აძნელებდა... მერცხალმა ისე ახლოს ჩაიქროლა, ფრთები ქვაფენილს გაჰკრა კიდევ... და ეს სულის შეხუთვა, სხეულზე ლოდივით დაწოლილი სიმძიმის შეგრძნება აუტანელი გახდებოდა, კიდევ ერთ წამს რომ გაგრძელებულიყო და ამ დამაბულობას განმუხტვა არ მოჰყოლოდა. თითქოს სადღაც *კატარა მხსნელი ნაპრალი გაჩნდა*... ყურს ამ ნაპრალის გაჩენის ხმაც მისწვდებოდა, იმავე წუთში კოკისპირულ წვიმას რომ არ დაეშვა. მიღებში წყალი ახმაურდა. ქვაფენილზე წვიმას მხაპამხუპი გაუდიოდა. [...]

მაგრამ იოჰან ბუდენბროკი *უკვე მკვდარი იყო* (მანი, 1988, გვ. 250-252).

ამ ფრაგმენტში აღწერილია ძალზე მნიშვნელოვანი მომენტი, სადაც ჩნდება **Brechen-Riß!** სიტყვათა რიგის მთავარი დეტალი – **Bruch**. ძირითად რეციპიენტად აქ, ისევე როგორც წინა ფრაგმენტში, კონსული იოჰან ბუდენბროკი გვევლინება და აგრეთვე – ბუდენბროკთა მთელი ოჯახი. ჭექა-ქუხილის აღწერა, დამაბულობისა და შფოთვის თანდათანობითი გაძლიერება, მზარდი კაემ-

ნი და სიმძიმე, მტანჯველი სიცხე – ყველაფერი ეს ოსტატურად გვამზადებს ტრაგედიისათვის, იმ წამისათვის, როდესაც პატარა მხსნელმა ბზარმა (რომელიც ყველასათვისაა მხსნელი, გარდა კონსულ იოჰან ბუდენბროკისა), სწორედ იმ ბზარმა (გაიხსენეთ დეტალი brechen მეხუთე ფრაგმენტში), რომელმაც თავის დროზე გაუშვა-გაათავისუფლა ახალგაზრდა იოჰანი, ახლა უკვე წაიყვანა ის თან, ვინაიდან ახლა მისი რიგია, მისი სიკვდილის დრო მოვიდა. Verfall-ის შეგრძნება ძლიერდება ფრაგმენტის საყრდენი წერტილებით. კონსულის სიკვდილის შემდეგ ბუდენბროკების Verfall-ი კიდევ უფრო ახლოვდება.

სიტყვათა რიგი კიდევ უფრო იზრდება:

„Buddenbrooks“ (Titel) – Buddenbrook – Brook – einen zerbrechlichen Luxus-Sekretär – die Kluft – Es sollte kein heimlicher Riß durch das Gebäude laufen – brechen die eichnen Dollen □ wenn nicht ein Tau gerissen wäre □ ein kleiner, erlösender Bruch –

„ბუდენბროკები“ (სათაური) – ბუდენბროკი – ბროკი, – ნატიფი ნახელავი სეკრეტერი – უფსკრული – ოჯახში ბზარი არ უნდა გაჩენილიყო – ნიჩბის პალოებმა ვერ გამიძლო – რომ ბაგირი არ გაწყვეტილიყო □ პატარა მხსნელი ნაპრალი გაჩნდა

როგორც ვხედავთ, ამ ფრაგმენტის Verfall-ის მთავარი დეტალი სრულად აღიქმება ქართველი რეციპიენტების მიერ.

#### ფრაგმენტი VII

„Ich habe [...] Zahnschmerzen. [...] Nun konnte ich es doch nicht aushalten und bin auf dem Wege **zu Brecht** [...]“.

Thomas Buddenbrook ging weiter [...]. Es war ein wilder, brennender und bohrender Schmerz [...] Er hatte sich eben beim Sprechen zusammenehmen müssen, **damit seine Stimme sich nicht breche**.

In der Mühlenstraße betrat er ein [...] Haus und stieg zum ersten Stockwerk empor, wo selbst an der Tür auf einem Messingschild „**Zahnarzt Brecht**“ zu lesen war. [...] Der Senator setzte sich an den runden Tisch [...]. **Herr Brecht** war es sich schuldig [...] eine Weile warten zu lassen.

Tomas Buddenbrook [...] rief [...], möge **Herr Brecht** die Güte haben, sich ein wenig zu beeilen. Er habe Schmerzen. [...] Ein schwerer Fall! dachte **Herr Brecht** und verfärbte sich [...] **Herr Brecht** [...]. **Herr Brecht** [...].

[...] bis zu einem wahnsinnigen, kreischenden, unmenschlichen Schmerz, der **das ganze Gehirn zerreißt** [...].

[...] **Herrn Brechts** bebende Kraftanstrengung teilte sich Thomas Buddenbrooks ganzem Körper mit [...]. Plötzlich gab es einen furchtbaren Stoß, eine Erschütterung, als würde ihm **das Genick gebrochen** [...]. **Herr Brecht** [...] sah aus wie der Tod [...]. „**Die Krone ist abgebrochen**, Herr Senator“ [...].

„Nun, für heute ist es genug!“ sagte der Senator [...]. Dies tat **Herr Brecht** [...] der schneebleiche **Herr Brecht** [...] als Thomas Buddenbrook schon die Treppe hinunterstieg. [...] Es war genau, als würde sein Gehirn ergriffen [...]. Er [...] schlug mit ausgestreckten Armen vornüber auf das nasse Pflaster (Fragment VII, Teil 10, Kapitel 7, S.676-680).

„კბილი მტკივა. [...] მაგრამ ტკივილს ვეღარ გავუძელი და ბრეჰტისკენ გამოვეშურე [...]“. თომას ბუდენბროკმა გზა განაგრძო [...] ეს იყო არაადამიანური, დამმანთავი, ტვინის გამბურღავი ტკივილი [...] არაადამიანური ძალის მოკრება უხდებოდა, რომ ხმას არ ეღალატა.

მიულენშტრასეზე თომას ბუდენბროკი [...]სახლში შევიდა და მეორე სართულზე ალასლასდა, სადაც კარზე მიკრულ სპილენძის დაფაზე ეწერა: „*კბილის ექიმი ბრეჰტი*“. [...]

სენატორი მრგვალ მაგიდას მიუჯდა [...] *ბატონ ბრეჰტს* ჩვეულებად ჰქონდა, ეცალა თუ არ ეცალა, პაციენტისთვის მაინც უნდა ეცდებინა. [...] სენატორმა [...] გასძახა, [...] *ბატონმა ბრეჰტმა* კეთილი ინებოს და აჩქარდეს, ტკივილი ვეღარ ამიტანიაო. [...] „მძიმე შემთხვევა!“ – გაიფიქრა *ბატონმა ბრეჰტმა* და ფერი წაუვიდა. [...] *ბატონმა ბრეჰტმა* [...] *ბატონი ბრეჰტი* [...] ეს ტკივილი [...] *ტვინს გაგიბურღავს* [...].

[...] *ბატონი* ბრეჰტის კანკალი და დამაბულობა თომას ბუდენბროკის მთელ სხეულს გადაედო [...] უცებ თომას ბუდენბროკმა საშინელი ბიძგი იგრძნო, შერყევა, თითქოს კეფა გაეზარაო [...] *ბატონი ბრეჰტი* [...] მკვდარივით გაფითრებულმა [...] ძლივს ამოთქვა: [...] – გვირგვინი გატყდა, ბატონო სენატორო... [...] – დღეისთვის კმარა! – თქვა სენატორმა [...]. *ბატონმა ბრეჰტმა* [...] ქალადივით გაფითრებულ ბატონ ბრეჰტს [...] და სენატორი ნელა გაუყვა ქუჩას [...] თითქოს ტვინში კეტი შემოჰკრესო [...] თომას ბუდენბროკი ნახევრად შემოტრიალდა და ხელეზგაშლილი ქვაფენილზე პირქვე დაემხო (მანი, 1988, გვ. 694-699).

განსაკუთრებული სიძლიერით ამ ბიურგერული ოჯახის Verfall-ი (სწორედ ბზარის სიტყვათა რიგის კონტექსტში) ჟღერს მეშვიდე ფრაგმენტში, თომას ბუდენბროკის ეპიზოდში, როდესაც ის მიდის კბილის ექიმთან. ეს არის ყველაზე დამაბული და ბზარის დეტალებით ყველაზე მეტად დატვირთული ფრაგმენტი – თომას ბუდენბროკის სიკვდილის ფრაგმენტი, რომელიც თავისი საყრდენი წერტილებით ეხმანება კონსულ იოჰანის სიკვდილის ეპიზოდს. აქ განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ ორი მომენტი: 1. თომას ბუდენბროკი მიდის ექიმთან, რომლის გვარია „Brecht“ (ეს სიტყვა ლოგიკურად განეკუთვნება *brechen*-დეტალის სიტყვათა რიგს; ქართულად არის „ბრეჰტი“) და 2. ექიმი ბრეჰტი უტეხავს მას კბილის გვირგვინს (Zahnkrone) და ამავე დროს სიმბოლურად უმსხვრევს მას ბუდენბროკების სახლის მმართველის გვირგვინს (Die Krone ist abgebrochen), რის შედეგადაც თომასი მალე კვდება. თავად ექიმის გვარი ქართულად „ბრეჰტი“ ქართველი რეციპიენტების მიერ როგორც Verfall-ის დეტალი, რა თქმა უნდა, არ აღიქმება.

ამ ბოლო ფრაგმენტის შემდეგ სიტყვათა რიგი როგორც გერმანულ, ასევე ნათარგმნ ქართულ ტექსტში საბოლოო სახეს იღებს.

„*Buddenbrooks*“ (Titel) – *Buddenbrook* – *Brook* – *einen zerbrechlichen Luxus-Sekretär* – *die Kluft* – *Es sollte kein heimlicher Riß durch das Gebäude laufen* – *brechen die eichnen Dollen* □ *wenn nicht ein Tau gerissen wäre* – *ein kleiner, erlösender Bruch* – *zu Brecht* – *damit seine Stimme sich nicht breche* – „*Zahnarzt Brecht*“ – *Herr Brecht* – *Herr Brecht* – *Herr Brecht* – *Herr Brecht* – *Herr Brecht* – *das ganze Gehirn zerreißt* – *Herr Brechts* – *das Genick gebrochen* – *Herr Brecht* – *die Krone ist abgebrochen* – *Herr Brecht* – *Herr Brecht* –

„ბუდენბროკები“ (სათაური) – ბუდენბროკი – ბროკი – ნატიფი ნახელავი სეკრეტერი – უფსკრული – ოჯახში ბზარი არ უნდა გაჩენილიყო – ნიჩბის პალოებმა ვერ გამიძლო – რომ ბაგირი არ გაწყვეტილიყო – კატარა მხსნელი ნაპრალი – ბრეჰტისკენ – რომ ხმას არ ეღალატა – „კბილის ექიმი, ბრეჰტი“ – ბატონ ბრეჰტს – ბატონმა ბრეჰტმა – ბატონმა ბრეჰტმა – ბატონმა ბრეჰტმა – ბატონი ბრეჰტი – *ტვინს გაგიბურღავს* – ბატონი ბრეჰტის – თითქოს კეფა გაეზარაო – ბატონი ბრეჰტი – გვირგვინი გატყდა – ბატონმა ბრეჰტმა – ბატონ ბრეჰტს –

დასკვნის სახით შეიძლება ვთქვათ შემდეგი.

ჩატარებულმა ანალიზმა აჩვენა, რომ თომას მანის „ბუდენბროკების“ ქართულ თარგმანში გამოვლენილი Verfall-ის გამომხატველ სიტყვათა რიგი – მთავარი დეტალით „ბზარი“ („Breach-Riß“) – არ შეესაბამება სრულად გერმანული ტექსტის სიტყვათა რიგს. პირველი, ქართულ ტექსტში



არ არის თარგმნილი Verfall-ის (დაცემის) ერთი დეტალი, ორის ნაცვლად კი სხვა სიტყვებია გამოყენებული, ე.ი. სულ 3 დეტალი, ამიტომ გვაქვს საკვლევი სიტყვათა რიგის კომპონენტების სხვადასხვა რაოდენობა: გერმანულ ტექსტში – 24, ქართულ ტექსტში კი – 21. მეორე, ობიექტური მიზეზების გამო (გერმანული და ქართული ენების თავისებურებებიდან და გერმანული და ქართული მენტალობიდან გამომდინარე) ნათარგმნ ტექსტში დაკარგულია ბუდენბროკების ოჯახის Verfall-ის (დაცემის) ცალკეული დეტალების სემანტიკა – იმ დეტალებისა, რომლებსაც ქართველი რეციპიენტები ვერ აღიქვამენ ისე, როგორც ამას გერმანელი მკითხველები სრულიად ბუნებრივად აკეთებენ. ეს არის თავად რომანის სათაური („ბუდენბროკები“ – მრავლობით რიცხვში, „ბუდენბროკი“ – მხოლოდით რიცხვში და აგრეთვე ამ გვარის მეორე ნაწილი „Brook“ – მნიშვნელობით „ბზარი“) – სულ 3 დეტალი, აგრეთვე გვარი „Brecht“, რომელიც, როგორც ეს უკვე ზემოთ აღინიშნა, გერმანულ ტექსტში ცნობილი *brechen*-დეტალის სემანტიკას უკავშირდება, მაგრამ ქართულ ნათარგმნ ტექსტში, სადაც „ბრეჰტი“-ს ფორმას ატარებს, ხსენებულ სემანტიკას კარგავს და უკვე აღარ იკითხება, როგორც Verfall-ის (დაცემის) დეტალი: სახეზე სულ 11 შემთხვევაა. თუ შევაჯამებთ ამას ყველაფერს, მივიღებთ შემდეგს: ქართულ ტექსტში წარმოდგენილ Verfall-ის გამომხატველ სიტყვათა რიგში ქართულენოვანი მკითხველები ვერ კითხულობენ დაცემის სემანტიკის კონტექსტში 17 დეტალს. ამრიგად, ქართულენოვანი რეციპიენტები 17 შემთხვევაში ვერ იგებენ რომანის სათაურის მნიშვნელობას, რომელიც სხვადასხვა ფორმაში ვლინდება, ამიტომ ზემოხსენებული სიტყვათა რიგი აქ წყდება. გერმანული ტექსტის სიტყვათა რიგის „ბზარის“ მნიშვნელობის მქონე 24 წევრისაგან მხოლოდ 7 აღიქმება რეალურად ნათარგმნ ტექსტში, რაც, რა თქმა უნდა, საკმაოდ ამცირებს აქ ძველი ბიურგერული გვარის დაცემის რეზონანსს. და თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ნაწარმოების სათაური, ე.ი. გვარი „ბუდენბროკი“ – როგორც მხოლოდით, ისე მრავლობით რიცხვში – მეორდება ბევრჯერ მთელი რომანის მანძილზე, შეიძლება დამაჯერებლად ვთქვათ, რომ ბუდენბროკისეული Verfall-ის (დაცემის) აღქმა ქართულენოვანი რეციპიენტების მიერ ნამდვილად ძლიერაა შესუსტებული.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

- მანი, თ. (1988). ბუდენბროკები. ერთი ოჯახის გადაშენების ამბავი. რომანი. გერმანულიდან თარგმნა დალი ფანჯიკიძემ, თბილისი: მერანი.
- Duden (2003). Deutsches Universalwörterbuch. Hrsg. v. Dudenredaktion. Mannheim Leipzig Wien Zürich: Dudenverlag.
- Koopmann, H. (1995). Thomas Mann: Buddenbrooks. In: Grundlagen und Gedanken zum Verständnis rzahlender Literatur, Frankfurt am Main: Verlag Moritz Diesterweg.
- Mann, Th. (1990). Buddenbrooks. Verfall einer Familie. In: Gesammelte Werke in 13 Bänden. Band I. Frankfurt a. M.: Fischer Taschenbuch Verlag.
- Mendelssohn, P. de. (1982). Nachbemerungen zu Thomas Mann: 1. 'Buddenbrooks'. 'Der Zauberberg'. 'Doktor Faustus'. 'Der Erwählte', Frankfurt am Main: Fischer Taschenbuch Verlag.
- Klappenbach, Ruth u. Steinitz, Wolfgang (Hrsg.) (1978). Wörterbuch der deutschen Gegenwartssprache in 6 Bänden. 1. Band. Berlin: Akademie-Verlag.
- Nieschmidt, H.-W. (1988). „Die Eigennamen“. In: Buddenbrooks-Handbuch. Hrsg. von Ken Moulden und Gero von Wilpert, Stuttgart: Alfred Kröner Verlag.
- Reiss, G. (1970). „Allegorisierung“ und moderne Erzählkunst: Eine Studie zum Werk Th. M.s. München: Wilhelm Fink Verlag.
- Wenzel, G. (1993). „Buddenbrooks“. In: Thomas Mann: Romane und Erzählungen. Interpretationen. Hrsg. von Volkmar Hansen, Stuttgart: Philipp Reclam jun.
- Лукин, В. (1999). Художественный текст. Основы лингвистической теории и элементы анализа, Москва: “Ось – 89”.
- Тураева, З. (1986). Лингвистика текста: Текст: (Структура и семантика), Москва: Просвещение.

#### References:

- Mani, T. (1988). Budenbrok'ebi. Erti ojaxhis gadashenebis ambavi. Romani. Germanulidan targmna Dali Panjik'idzem. [The Buddenbrooks. The story of the extinction of a family. Novel. Translated from the German by Dali Panjikidze]. Tbilisi: merani.
- Lukin, V. (1999). Khudozhestvennyy tekst. Osnovy lingvisticheskoy teorii i elementy analiza. [Fiction. Fundamentals of Linguistic Theory and Elements of Analysis]. Moskva: "Os' – 89".
- Turayeva, Z. (1986). Lingvistika teksta: Tekst: (Struktura i semantika). [Text Linguistics: Text: (Structure and Semantics)]. Moskva: Prosveshcheniye.